ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№50

ქ. თბილისი; 18 ოქტომბერი, 2019 წ. 12 : 00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
გიორგი ჩაკვეტაძე
თინათინ ნიბლოშვილი
ნინო რუხაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ქეთევან მამულაშვილი
ელენე ოზაშვილი
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი (იურისტი) - ანნა გენელიძე

შპს „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორი - ლევან ჯღარკავა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ქვარა ჩართოლანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - თამარ ურუშაძე

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

3. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

4. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს2015 წლის 5 ივლისის N17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებული 7842 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.10.18.009.107) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. “გარდაბანში, სოფელ ნორიოში მდებარე 6500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №81.09.08.272) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. “ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N29-ის მიმდებარედ არსებული 408 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.959) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. „ქ. თბილისში, ბეთლემის ქ. N15-ში მდებარე ფართების (ს/კ: N01.18.03.072.064.01.500; N01.18.03.072.064.01.504, N01.18.03.072.064.01.505) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. “ქ. თბილისში დიდი დიღომი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრის მიმდებარედ არსებულ, 10 177 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.72.14.009.259) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. “ქ. თბილისში,მარჯანიშვილის ქ. N16, კორპუს 3 ში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.13.08.007.020.01.028) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის და დაინტერესებულ პირებთან გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულებების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. “ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების II მიკრორაიონის კორპუს N27ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.203) არსებული 2,126.82 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. “ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩაზე მდებარე 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.16.08.006.105) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე მეორეს ქუჩაზე (საკადასტრო კოდები: N81.08.21.448, N81.08.21.462, N81.08.21.463) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. “ქალაქ თბილისში, წყნეთში, რუსთაველის ქუჩა N45-ში (საკადასტრო კოდები: N01.20.01.139.109.01.001; N01.20.139.109.01.002; N01.20.01.139.109.01.003; N01.20.01.139.109.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. “ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.061.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით

პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. "ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N23-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.19.24.004.056) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. „ქალაქ თბილისში, თენგიზ სტურუას ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.002.030) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N2 ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.040.004) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N36-ში (ნაკვეთი 64/029) (საკადასტრო კოდები: N01.17.09.064.029.01.040, N01.17.09.064.029.01.046) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.040.004.01.539) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

*22.* "ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, #102 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული 21229 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების: #1, #2 და #3 (მიწისქვეშა ნაგებობა) (ს/კ: #01.14.16.008.031) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

23. "ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუს N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.037.01.1500.611) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

24. „ქალაქ თბილისში; გელა ჭედიას ქუჩა N1ვ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.04.023.021.01.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

25. „ქალაქ თბილისში, ენგურჰესის ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდები: N01.19.23.013.010.01.503, N01.19.23.013.010.01.502) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

26. “ქალაქ თბილისში, მუხიანის სამხედრო დასახლებაში, “ავჭალა-1“, სახლი N27-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.17.004.007.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

27. “ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.008.002.01.524) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

28. “ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N67-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.001.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

29. “ქალაქ თბილისში, ღოღობერიძის ქუჩა N47-ში (ნაკვეთი 34/020) (საკადასტრო კოდი: N01.18.13.034.020.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

30. “ქალაქ თბილისში, III მასივის VIII კვარტალის კორპუს N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.025.007.01.038) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

31. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N55-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.027) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

32. „ქალაქ თბილისში, ახუნდოვის ქუჩა №3/10-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.04.017.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვაინლაბისთვის“ (ს/ნ:405213709) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

33. „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №34-38-ის მიმდებარედ არსებული 1933 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.10.15.018.078) 73 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იან დავიდოვისთვის (პ/ნ: 01018002120) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

34. „ქალაქ თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩა N39-ის მიმდებარედ არსებული 141 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.020.025) 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ი.დ.-ისთვის“ (ს/ნ: 416342844) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

35. „ქალაქ თბილისში, ატონელის ქუჩა N27-ის მიმდებარედ არსებული 742 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.005.027) 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მს ჯგუფისთვის" (ს/ნ: 405167947) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

36. "ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 88 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.065.072) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩექინნ გრუპისთვის" (ს/ნ: 402113253) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

37. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლების III² მიკრორაიონის კორპუსი N338-ის მიმდებარედ არსებული 518 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.19.39.012.055) 72 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სს „მარტ ჯგუფისთვის" (ს/კ 406119579) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

38. "ქალაქ თბილისში, აბანოს შესახვევი №7-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.063.060) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დან დიურ ჰოლდინგისთვის" (ს/ნ: 203855104) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

39. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თეონა გაზდელიანისთვის (პ/ნ: 35031007233) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

40. „ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 1244 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.12.21.001.526) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქვიშის ფეხბურთის ფედერაციისთვის" (ს/კ: 406246753) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

41. „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი II კვარტალის №9ა და №9ბ კორპუსებს შორის მდებარე 1171 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.022.003) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის და დაინტერესებულ კომპანიასთან შპს „არქიინვესტი" (ს/კ 404954046) გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის N421 განკარგულების დანართით განსაზღვრული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

42. „რიგი ობიექტებისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა - ანნა გენელიძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 მაისის N5 ბრძანების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობები დარეგისტრირებული არიან სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, წარმოადგენენ შემსყიდველ ორგანიზაციებს და შესყიდვის პროცედურებს ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით. შესაბამისად, რაიონული გამგეობების მიერ გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების რეგისტრაცია, აღრიცხვა და შენახვა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხორციელდება მათი, როგორც დამოუკიდებელი შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ.

საკითხის წარმომდგენის თქმით, აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება ხორციელდება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის დებულებაში კერძოდ, დებულების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის „ე" ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნება მითითება რაიონის გამგეობების შესახებ და აღნიშნული ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ე) თბილისის მერიის მიერ დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების რეგისტრაცია, აღრიცხვა და შენახვა."

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრმა - ელენე ოზაშვილმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. შპს „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორმა - ლევან ჯღარკავამ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება შედის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №17-46 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციაში". ცვლილების მიხედვით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უფლებამოსილი სამსახურის ან ოპერატორისათვის წესრიგდება დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვისა და ამოღების პროცედურა.

მომხსენებლის თქმით, ცვლილება შედის ასევე, საკრებულოს №17-46 დადგენილების მე-3 პუნქტით დამტკიცებულ „დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესში", რომლის მიხედვით, შემოდის რეგულაცია ინდივიდუალურ მეწარმეების, იურიდიულ პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ნარჩენების შემკრები კონტეინერების განთავსებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ინდივიდუალურ მეწარმეებს, იურიდიულ პირებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, მოთხოვნის შემთხვევაში განუთავსდებათ კონტეინერები (1100 ლიტრიანი ან 1.1 მ³ ) შემდეგი სახით:

- მომხმარებელს, რომელსაც დასუფთავების მოსაკრებელი ყოველთვიურად ერიცხებათ 500 ლარამდე ოდენობით, განუთავსდებათ 1 ერთეული კონტეინერი;
- მომხმარებლებს, რომელთაც დასუფთავების მოსაკრებელი ყოველთვიურად ერიცხებათ 500-დან 1000 ლარამდე ოდენობით, განუთავსდებათ 3 ერთეულამდე კონტეინერი;
- მომხმარებლებს, რომელთაც დასუფთავების მოსაკრებელი ყოველთვიურად ერიცხებათ 1000-დან 2000 ლარამდე ოდენობით, განუთავსდებათ 6 ერთეულამდე კონტეინერი;
- მომხმარებლებს, რომელთაც დასუფთავების მოსაკრებელი ყოველთვიურად ერიცხებათ 2000 ლარი და მეტი ოდენობით, განუთავსდებათ 8 ერთეულამდე კონტეინერი.

როგორც საკითხის წარმომდგენმა განმარტა, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად, ინდივიდუალურ მეწარმეებს, იურიდიულ პირებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს უფლება ეძლევათ თვითონ დაიდგან სხვა მოცულობის ნაგავშემკრები კონტეინერები, რომელთა ფორმა და დისლოკაციის ადგილი შეთანხმებული უნდა იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უფლებამოსილ სამსახურსა ან

ოპერატორთან, წინააღმდეგ შემთხვევაში მომსახურების გამწევი პირი უფლებამოსილია არ გაიტანოს (არ დაცალოს) შეუთანხმებლად განთავსებული კონტეინერი

დასასრულს, **ლევან ჯღარკავამ განმარტა,** რომ წინამდებარე ცვლილებით ასევე, დგინდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უფლებამოსილი სამსახურის ან ოპერატორისათვის დამატებითი ფუნქცია-მოვალეობები, რომლითაც მოწესრიგდება დედაქალაქში ნარჩენების მართვის სფერო.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი - **გიორგი ჩაკვეტაძე** დაინტერესდა, მუნიციპალიტეტში არსებული ნარჩენების შემგროვებელი ავტომანქანების რაოდენობის შესახებ.

**ბატონი გიორგი** ასევე დაინტერესდა, ვაკის რაიონში, საყოფაცხოვრებო ნარჩენების ღამის საათებში გატანის საპილოტე პროგრამის თაობაზე.

**ლევან ჯღარკავამ** განმარტა, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენების ღამის საათებში გატანის საპილოტე პროგრამა, პირველ ეტაპზე, ვაკის რაიონში რამდენიმე ქუჩაზე წარმატებით განხორციელდა. მისივე თქმით, დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პროგრამაში მოსახლეობის დაახლოების 15% ჩაერთო, თუმცა დღეის მდგომარეობით მოსახლეობის ჩართულობამ საგრძნობლად იკლო.

**მომხსენებელმა** განმარტა, რომ პროექტის მიზანი გახლდათ, ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი. საცობები და კომპანიის ხარჯები. მისივე თქმით, ინიციატივამ ორივე მიმართულებით გაამართლა. ტექნიკა დანიშნულების ადგილზე ერთხელ მიდის და ისიც ღამის საათებში.

**საკითხის წარმომდგენის** თქმით, სხვა რაიონებშიც იგეგმებოდა ნარჩენების გატანა ღამის საათებში და საყოფაცხოვრებო ნარჩენების საპილოტე პროგრამის მთელი ქალაქის მასშტაბით ამოქმედება, თუმცა აღნიშნულის განხორციელება გაზრდილ ხარჯებთან ერთად, უბნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოითხოვს საფუძვლიანი ანალიზის ჩატარებას. მისივე განმარტებით, პროექტის ეფექტურად განსახორციელებლად დამატებითი ნაგავმზიდები ესაჭიროებათ, რის შეძენასაც „თბილსერვისი" უკვე გეგმავს.

ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრის - **ელენე ოზაშვილის** თქმით, გარეუბნებში, კერძოდ გლდანის რაიონში, ნარჩენები დაგროვილია 3-4 დღის განმავლობაში. ქალბატონი ელენე დაინტერესდა, არის თუ არა აღნიშნულის მიზეზი ნაგავმზიდი მანქანების არასაკმარისი რაოდენობა.

**ლევან ჯღარკავამ** განმარტა, რომ აღნიშნული პრობლემა გარეუბნებში არ დგას. მისივე თქმით, კონკრეტული ფაქტის დაფიქსირებისას, აუცილებელია ინფორმაციის მიწოდება ცხელი ხაზის მეშვეობით, რასაც მოჰყვება მყისიერი რეაგირება.

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის** თქმით, სასურველია, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.** ასევე, დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში უნდა გასწორდეს ნუმერაციასთან დაკავშირებული ხარვეზი და $4^1$ და $4^2$ პუნქტების დამატება განხორციელდეს არა მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ, არამედ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**3-4.** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის წევრებს შესთავაზა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-3 და მე-4 საკითხების გადადება, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით. თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

კომისია ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-3 და მე-4 საკითხის გადადებასთან დაკავშირებით.

მოისმინეს:

**5.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებული 7842 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.18.009.107) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულებით ხდება, ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებული 7842 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა, შპს „აპექს ჯგუფი“-ს საკუთრებად რეგისტრირებული უძრავ ქონებაზე. (ქ. თბილისში, ტყვარჩელის ქუჩა N5-ში მდებარე 444 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1, N2, N3 შენობა-ნაგებობები (ს/კ: N01.10.13.040.058) და ქ. თბილისში, ტყვარჩელის ქუჩა N5-ში მდებარე 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1, N2, N3, N4, N5, N6, N7 შენობა-ნაგებობები (ს/კ: N01.10.13.040.099)). მთავრობის N19.979.1266 განკარგულებაზე თანდართული ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

მომხსენებლის განმარტებით, კომპანია „აპექს ჯგუფი“-ს საკუთრებაში არსებული, გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთები, თავდაპირველად წარმოადგენდა კერძო პირთა საკუთრებას და აღნიშნულ ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით განთავსებულია ბარაკული ტიპის საცხოვრებელი სახლები. ამასთან, არსებობდა ალექსიძისა და ბერბუთის ქუჩების მოსახლეობის პროტესტი, მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი საცხოვრებელი შენობების განთავსებასთან დაკავშირებით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი იყო დაინტერესებულ პირთა განცხადებები, სადაც ნაცვლად დაგეგმილი მშენებლობისა, ითხოვდნენ გამწვანებული სივრცეების შექმნას. ამასთან, მიმდინარეობდა მსჯელობა კომპანიის საკუთრებაში არსებული აღნიშნული მიწის ნაკვეთების, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით.

მომხსენებლის განმარტებით, „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“-ს გადაწყვეტილებით, 2017 წლის 24 აგვისტოს სხდომის შედეგად, განმცხადებელს უარი ეთქვა, ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ტყვარჩელის

ქუჩა 5-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემაზე. შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, 2017 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით, არ დააკმაყოფილა განმცხადებლის - ვლადიმერ რობაქიძის მოთხოვნა, ტყვარჩელის ქუჩა N5-ში მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემის თაობაზე, რაც გასაჩივრებულ იქნა დაინტერესებული მხარის მიერ.

მომხენებელმა ასევე აღნიშნა, რომ 2018 წლის 13 აგვისტოს, კვლავ მიმართა, დაინტერესებულმა მხარემ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს ტყვარჩელის ქუჩა N5 ში მდებარე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით, ხოლო, სამსახურის მიერ, 2018 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილებით, მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული ტყვარჩელის ქუჩა N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის აგება, იმ მოტივით, რომ კომპლექსის აშენების შემთხვევაში, არსებული სატრანსპორტო ქსელი ვერ უზრუნველყოფდა სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო და შეუფერხებელ მოძრაობას.

ქალბატონმა ქეთარამ იქვე დასძინა, რომ მიწის ნაკვეთების შეფასდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ექსპერტიზის დასკვნით;

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7842 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განეკუთვნება - საცხოვრებელ ზონა 3-ს და სატყეო ზონას, მისი ღირებულება - 2019 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2 093 814 (ორი მილიონ ოთხმოცდაცხრამეტი ათას რვაას თოთხმეტი) ლარის ოდენობით.

- ხოლო, კომპანია „აპექს ჯგუფი"-ს საკუთრებაში არსებული, 444 კვ.მ. და 753კვ.მ. მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებამ ჯამში, 2019 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინა 645 000,00 (ექვსას ორმოცდახუთი ათასი) აშშ დოლარი, რაც ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსით შეადგენს - 1 910 103,00 (მილიონ ცხრაას ათი ათას ას სამი) ლარს.

საექსპერტო დასკვნის მიხედვით, 444 კვ.მ. და 753კვ.მ. მიწის ნაკვეთებზე დღეის მდგომარეობით ვრცელდება - საცხოვრებელი ზონა - 6 (სზ-6). მაგრამ, დამკვეთის მოთხოვნით, ეს უძრავი ნივთები შეფასდა მიწათსარგებლობის ახალი გენერალურ გეგმამდე მოქმედი ძველი გენგეგმის ფარგლებში არსებული ფუნქციური ზონის: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) და ძველი განაშენიანების რეგულირების პარამეტრების (კ1-0.5/0.7, კ2-3.5; კ3-0.2) გათვალისწინებით, რაც მისაღებად მიიჩნია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებული 7842 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და მის მახლობლად შეთანხმებულია ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმა. შესაბამისად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პოზიციის მიხედვით, მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება დასაშვებია აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა - 185 000 (ას ოთხმოცდახუთი ათასი) ლარი, რომელიც გადახდილი უნდა იქნას შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.

დასასრულს, მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი მონაცვლეობა განპირობებულია იმ მოტივით, რომ სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია გადატვირთულია საცხოვრებელი კორპუსებით და ახალი მშენებლობა კიდევ უფრო გააუარესებს არსებულ სიტუაციას. სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება კი შესაძლებელს გახდის, მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განხილულ იქნას გადმოცემული ტერიტორიების სარეკრეაციო ან სხვა საზოგადოებრივი დანიშნულებით განვითარების საკითხი.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის აზრით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მითითებულ იქნას გაცვლას დაქვემდებარებულ მიწის ნაკვეთებს შორის არსებული სხვაობა, საპრივატიზებო საფასური - 185 000 (ას ოთხმოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით და პროექტის პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ წევრმა - ელენე ოზაშვილმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “გარდაბანში, სოფელ ნორიოში მდებარე 6500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №81.09.08.272) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ხდება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა, ლიზა აბრამიშვილის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონებაში: გარდაბანში, სოფელ ნორიოში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 10000 კვ.მ. მიწის ნაკვეთში (ს/კ:№81.09.33.261).

ქალბატონი ქვარას თქმით, ნორიოს ახალი ნაგავსაყრელის მოწყობის მიზნით, ნაგავსაყრელისთვის შერჩეულ ტერიტორიაზე მოხვედრილი მიწის ნაკვეთები 2010 წელს მიღებულ იქნა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში და სანაცვლოდ, მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებს, გადაეცათ სხვა მიწის ნაკვეთები. ტერიტორიაზე მოხვედრილი ლიზა აბრამიშვილის საკუთრებაში არსებული 10000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი იპოთეკით იყო დატვირთული და მისი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში მიღება და სანაცვლო ნაკვეთის გადაცემა მისი თანამესაკუთრესათვის ვერ განხორციელდა.

საკითხის წარმომდგენის თქმით, აღნიშნულმა პირმა მიმართა მერიას და ითხოვა იპოთეკისგან გათავისუფლებული ნაკვეთის სანაცვლოდ, იგივე ფართობის მიწის ნაკვეთის (ს/კ: 81.09.08.118) სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა. ლიზა აბრამიშვილთან 2014 წელს გაფორმდა

შესაბამისი ხელშეკრულება, სოფელ ნორიოში მდებარე 10000 კვ.მ მიწის ნაკვეთის აღნიშნული პირისთვის სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემისა და ლიზა აბრამიშვილის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების თბილისის თვითმმართველი ერთეულისთვის გადაცემის ვალდებულებით. აღნიშნული ხელშეკრულების საქართველოს მთავრობასთან შეთანხმება ვერ განხორციელდა.

როგორც ქალბატონმა ქვარამ განმარტა, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის მიზნით, ლიზა აბრამიშვილმა 2018-19 წლებში მერიისგან ითხოვა 10 000 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან ცალკე საკადასტრო ერთეულად გამოყოფილი 6 500 კვ.მ მიწის ნაკვეთის გადაცემა, ვინაიდან ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, ვერ ახერხებს გასაცვლელი მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის გადახდას. ამასთან, ლიზა აბრამიშვილმა განაცხადა, რომ თუკი თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საბაზრო ღირებულება მეტი იქნებოდა ვიდრე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, მას სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნებოდა არანაირი პრეტენზია თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ შპს „თბილსერვის ჯგუფის" პოზიციის მიხედვით, ლიზა აბრამიშვილის მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ნაგავსაყრელისათვის საჭირო ტერიტორიას; ამასთან, კომპანიამ გამოხატა დადებითი პოზიცია მიწის ნაკვეთების მონაცვლეობასთან დაკავშირებით.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ მიწის ნაკვეთები შეფასდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ:

- ექსპერტიზის დასკვნით- ლიზა აბრამიშვილის საკუთრებაში არსებული 10 000 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2019 წლის 18 მარტის მდგომარეობით, **საორიენტაციოდ განისაზღვრა 20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით.**

- ექსპერტიზის დასკვნით-მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6 500კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2019 წლის 26 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **19 500 (ცხრამეტი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.**

დასასრულს საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების, **საპრივატიზებო საფასურის გარეშე,** გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის შესათანხმებლად წარმოდგენა, რაც ამასთანავე უზრუნველყოფს ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე მოხვედრილი მიწის ნაკვეთის თბილისის მუნიციპალურ საკუთრებაში მიღებას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრმა - ელენე ოზაშვილმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**7.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - **ქვარა ჩართოლანმა** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N29-ის მიმდებარედ არსებული **408 კვ.მ** მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.959) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, მოქალაქე ზაზა ბოხუამ 2019 წელს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსგან მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული, ქ თბილისში ბოჭორიშვილის ქუჩა N2-ის მიმდებარედ **215 კვ.მ** მიწის ნაკვეთის გაცვლა ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირზე მდებარე **408 კვ.მ** მიწის ნაკვეთში, შემდგომში, მომიჯნავედ არსებულ უძრავ ქონებასთან გაერთიანების პირობით, იმ მოტივით, რომ მიუხედავად მშენებლობის ნებართვისა, გლდანის რაიონის მაცხოვრებელთა პროტესტის გამო შეუძლებელი გახდა პროექტის განხორციელება. ამასთან, მოქალაქემ გამოთქვა მზადყოფნა, გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის შემთხვევაში დამატებით გადაიხადოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრული საპრივატიზებო საფასური.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ვინაიდან გლდანის რაიონის გამგეობის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სკვერებისა და პარკების მოწყობა, მესაკუთრის უფლებების დაცვისა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებისთვის, გამგეობამ შუამდგომლობა გაუწია მოქალაქე ზაზა ბოხუას მოქალაქის საკუთრებაში არსებული 215 კვ.მ მიწის ნაკვეთის, ფარნავაზ მეფის გამზირზე მდებარე 408 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლასთან დაკავშირებით.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიიჩნია მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის განკარგვა დამოუკიდებელი სამშენებლო განვითარების გარეშე, მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად.

ამასთან, გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთები შეფასდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ექსპერტიზის დასკვნით,

- ფარნავაზ მეფის გამზირზე არსებული **408 კვ.მ** მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებამ 2019 წლის 19 აგვისტოს მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინა **214 608 (ორას თოთხმეტი ათას ექვსას რვა) ლარი;**
- ხოლო ზაზა ბოხუას საკუთრებაში არსებული **215 კვ.მ** მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებამ 2019 წლის 19 აგვისტოს მდგომარეობით შეადგინა **96 105 (ოთხმოცდათექვსმეტი ათას ას ხუთი) ლარი.**

დასასრულს, ქვარა ჩართოლანმა განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა და საპრივატიზებო საფასური განისაზღვრება წარმოდგენილი საექსპერტო შეფასებებით დადგენილ თანხებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობა 120 000 (ას ოცი ათასი) ლარი.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს საპრივატიზებო საფასური „120 000 (ას ოცი ათასი) ლარის ოდენობით“ და განკარგულების პროექტის პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ წევრმა - ელენე ოზაშვილმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დარჩენილმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**8**. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ქვარა **ჩართოლანმა** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, ბეთლემის ქ. N15-ში მდებარე ფართების (ს/კ: **N01.18.03.072.064.01.500; N01.18.03.072.064.01.504, N01.18.03.072.064.01.505)** გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ვენერა ალიშევას საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე **1275 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის **(ს/კ: #01.10.16.004.254)** გაცვლას, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ბეთლემის ქ. #15-ში მდებარე ფართებში და საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის ვენერა ალიშევასთვის თანხით ანაზღაურებას.

**მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე, ვენერა ალიშევას საკუთრებაში არსებული ორი მიწის ნაკვეთი, სხვა უძრავ ქონებაში გაცვლის შედეგად საკუთრებაში მიიღო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა. თბილისის მთავრობა ასევე მიზანშეწონილად მიიჩნევს დარჩენილი ნაკვეთის მიღებას მუნიციპალურ საკუთრებაში, რაც ასევე შესაძლებლობას მისცემს თვითმმართველობის ორგანოებს, გადმოცემული ნაკვეთების ტერიტორიებზე შეხედულებისამებრ მიიღონ შემდგომი გადაწყვეტილებები.

**საკითხის წარმომდგენის** თქმით, გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთები შეფასდა **სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.** ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით:

- ბეთლემის ქ. #15-ში მდებარე ფართების მთლიანი საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ განისაზღვრა **438 853** აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხად ეროვნულ ვალუტაში, 2019 წლის 19 ივნისის მდგომარეობით - **1 214 043** ლარი.

- ხოლო ვენერა ალიშევას საკუთრებაში არსებული 1275 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებასთან დაკავშირებით, 2019 წლის 4 ოქტომბრის წერილის მიხედვით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო განმარტავს, რომ 1275 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, წარმოადგენს #01.10.16.004.218 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან გამიჯნულ ნაწილს. #01.10.16.004.218 საკადასტრო ერთეული შეფასდა 13.12.18წ. #008521518 დასკვნით. ვინაიდან

აღნიშნული ნაკვეთი (ს/კ: #01.10.16.004.218) ჩასანაცვლებლად იყო განკუთვნილი, მისგან გამოყოფილი და გამიჯნული ნაწილების თავიდან შეფასება აღარ მოხდა და **#01.10.16.004.254** საკადასტრო ერთეულის შეფასებისას აღებულ იქნა 13.12.18წ. #008521518 დასკვნით დადგენილი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება - 382 აშშ დოლარის ოდენობით.

მომხსენებლის თქმით, აღნიშნულიდან გამომდინარე, 1275 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებამ ეროვნულ ვალუტაში 2019 წლის 4 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა- 1 446 448 ლარი.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ 13 12 18წ #008521518 დასკვნით, დამკვეთის მოთხოვნით, #01.10.16.004.218 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის შეფასებისას არ იქნა გათვალისწინებული მიწის ნაკვეთზე ფაქტიურად გამავალი საავტომობილო გზა და დაშვებულ იქნა, რომ მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ 6). მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ახალი გეგმარებით #01.10.16.004.254 საკადასტრო ერთეულს შეეცვალა ფუნქციური ზონა და დღეისათვის მასზე მოქმედებს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

დასასრულს, ქეთარა ჩარიოლიანმა განმარტა, რომ განკარგულების პროექტით განხილულია მიწის ნაკვეთების ურთიერთგაცვლა და დამატებითი კომპენსაციის ვესერა აღიშყვასისთვის გადახდა, წარმოდგენილი საექსპერტო შეფასებებით დადგენილ თანხებს შორის სხვაობის - **142 822.18** ლარის ოდენობით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრმა - ელენე ოზაშვილმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**9.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქ. თბილისში დიდი დიღომი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრის მიმდებარედ არსებული, 10 177 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.72.14.009.259) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის №419 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის უზრუნველყოფა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო

ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

**თამარ ურუშაძის** თქმით, წარმოდგენილი პროექტით ხდება, ქ. თბილისში, დიდი დიღომი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრის მიმდებარედ, **10 177 კვ.მ მიწის ნაკვეთის** მთავრობის **N19.1005.1316** განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად -1 (ერთ) ლარად პრივატიზება, ამავე განკარგულების დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ქალბატონმა თამარმა განმარტა, რომ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ მასალებს თან ახლავს, დაინტერესებულ პირთა თანხმობა, უძრავი ქონების მიღების სანაცვლოდ, სახელმწიფო საშინაო ვალზე მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ.

**მომხსენებელმა** იქვე დასძინა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს, საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების, მთავრობის **N19.1005.1316** განკარგულების დანართში 1-ით განსაზღვრული, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრების/მათი უფლებამონაცვლეების გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. აგრეთვე, პროექტის დანართ 1-ში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და სწორად მიეთითოს მოქალაქის - ქეთევან თავართქილაძის, კოოპერატივის ნომერი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ წევრმა - ელენე ოზაშვილმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის წევრებს შესთავაზა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-10 საკითხის გადადება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით. თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

კომისია ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-10 საკითხის გადადებასთან დაკავშირებით.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის და დაინტერესებულ პირებთან გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულებების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში მდებარე უძრავი ქონების (30 ერთეული ფართი), ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის №19.939.1180 განკარგულებით განსაზღვრულ პირებისთვის (30 პირი) სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ საცხოვრებელი ფართებით.

მომხსენებლის თქმით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან, დაინტერესებული პირებისთვის, მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

საკითხის წარმომდგენის თქმით, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის წერილებითა და დაინტერესებული პირების მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით დასტურდება, აღნიშნული მოქალაქეების სოფელ ოქროყანაში მითითებულ მისამართზე ცხოვრების ფაქტი.

დასასრულს, ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირებზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოება მიმდინარეობდა წელიწადნახევრის განმავლობაში და მუნიციპალიტეტის ორგანოების მხრიდან გაწეული დიდი შრომის შედეგად, სოფელ ოქროყანაში მდებარე უძრავი ქონება გადაეცემა 30 პირს, რომლებიც აღნიშნულ მისამართზე შეჭრილები არიან დაახლოებით 30 წლის განმავლობაში.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების II მიკრორაიონის კორპუს N27ა-ში (საკადასტრო კოდი:

N01.10.06.006.203) არსებული 2,126.82 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების II მიკრორაიონის კორპუს N27ა-ში არსებული **2,126.82** კვ.მ უძრავი ქონების, მთავრობის **N19.652.850** განკარგულებით განსაზღვრული პირებისთვის (21პირი), **სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად** საკუთრებაში გადაცემას.

**მომხსენებლის** თქმით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობამ წერილობით იშუამდგომლა სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირებისთვის მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

დასასრულს, **საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, რომ დაინტერესებული პირების მეზობლებთან გასაუბრების ოქმებით დასტურდება, რომ მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებით განსაზღვრული პირების დიდი დიღმის დასახლების II მიკრორაიონის კორპუს N27ა-ში ცხოვრობენ მრავალი წლის განმავლობაში.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**13.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - **თამარ ურუშაძემ**, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩაზე მდებარე **1000** კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: **N01.16.08.006.105**) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **მოქალაქე ნათელა გზირიშვილისთვის**, ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩაზე მდებარე **1000** კვ.მ. მიწის ნაკვეთის, **სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად** საკუთრებაში გადაცემას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 18 სექტემბრის N19.992.1283 განკარგულებაზე თანდართული ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

**მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ მოქალაქე ნათელა გზირიშვილი არის აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ჯარისკაცის - ბადრი გზირიშვილის შვილი და 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული ჯარისკაცის - ვახტანგ გზირიშვილის და. ნათელა გზირიშვილი აგრეთვე არის მრავალშვილიანი დედა (ჰყავს 4 (ოთხი) შვილი) და ექვს სულთან ერთად ცხოვრობს მცირე ფართის მქონე საცხოვრებელ ბინაში.

**საკითხის წარმომდგენის** თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება, აღნიშნულ ნაკვეთზე, საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N324 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

დასასრულს საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩაზე მდებარე 1000 (ათასი) კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით, უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის, სიმბოლური თანხის - 1 (ერთი) ლარის ოდენობით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის ლევან ჟორჟოლიანის აზრით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე მეორეს ქუჩაზე (საკადასტრო კოდები: N81.08.21.448, N81.08.21.462, N81.08.21.463) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე მეორეს ქუჩაზე მდებარე 3 (სამი) საკადასტრო ერთეულის (ცალკეული ფართების) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად მთავრობის N19.990.1276 განკარგულებით განსაზღვრული 15 (თხუთმეტი) პირისათვის, საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც აღნიშნულ ფართებში ცხოვრობენ 1992- 2008 წლებიდან.

ქალბატონი თამარის თქმით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილია სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობა, სამგორის რაიონში, დიდი ლილო, ერეკლე მეორის ქუჩა მე-4 შესახვევში ე.წ. სამხედრო ქალაქში მცხოვრებ არადევნილის სტატუსის მქონე ოჯახებისათვის მათ სარგებლობაში არსებული იზოლირებული საცხოვრებელი ფართების, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

ქალბატონი თამარის განმარტებით, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის წერილის თანახმად, ქონების გადაცემით დაინტერესებული, არადევნილის სტატუსის მქონე ოჯახები, ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 1992- 2008 წლებიდან. მისივე თქმით, საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ მასალებს ახლავს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილები, რომლებშიც ასახულია ინფორმაცია ქონების გადაცემით დაინტერესებული პირების საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების თაობაზე.

დასასრულს, თამარ ურუშაძემ აღნიშნა, რომ დაინტერესებული პირების მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით დასტურდება, რომ მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებით განსაზღვრული პირები, ნამდვილად ცხოვრობენ და სარგებლობენ უძრავი ქონებით მდებარე: ქალაქ თბილისი, სამგორის რაიონი, დიდი ლილო, ერეკლე მეორის ქუჩა მე-4 შესახვევი.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სათაური და პროექტის პირველ პუნქტი გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. შესაბამისად, ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, წყნეთში, რუსთაველის ქუჩა N45-ში (საკადასტრო კოდები: N01.20.01.139.109.01.001; N01.20.139.109.01.002; N01.20.01.139.109.01.003; N01.20.01.139.109.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, წყნეთში, რუსთაველის ქუჩა N45-ში, პირველ სართულზე მდებარე ბინა N1, ფართით 82.78 კვ.მ, პირველ სართულზე მდებარე ბინა N2, ფართით 73.48 კვ.მ, მე-2 სართულზე მდებარე ბინა N3, ფართით 75.56 კვ.მ და მე-2 სართულზე მდებარე ბინა N4, ფართით 75.94 კვ.მ, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას მოქალაქე ეთერ ელზაქიძისათვის, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ქალბატონი თამარის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის; თვითნებურად დაკავებული საცხოვრებელი ფართების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე შუამდგომლობის საკითხის შემსწავლელმა საკონსულტაციო საბჭომ, მოქალაქე ეთერ ელზაქიძის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნია ეთერ ელზაქიძის ოჯახისთვის დაკავებული ფართისა და მიწის ნაკვეთის დაკანონებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია ვაკის რაიონის გამგებლის შუამდგომლობა, ეთერ ელზაქიძის მძიმე სოციალური პირობებიდან გამომდინარე, მის მიერ დაკავებული ფართის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს წერილის თანახმად, მოქალაქე ეთერ ელბაქიძე ოჯახთან ერთად 1992 წლიდან დღემდე ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

დასასრულს, ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ეთერ ელბაქიძის ოჯახის წევრების სახელზე, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის. ხოლო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილის მიხედვით, მოქალაქე ეთერ ელბაქიძე დევნილად რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“ და პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო თბილისი“ წევრმა - ელენე ოზაშვილმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**16.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.061.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ალექსანდრე დოლიკაშვილისთვის, ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა № 22, სართული 1, 46.10 კვ. მ. ფართის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემას.

ქალბატონი თამარის თქმით, ალექსანდრე დოლიკაშვილი დაინტერესებაში არსებულ მისამართზე, დაახლოებით 46 კვ. მ. ფართში ცხოვრობს 1995 წლიდან, რასაც ადასტურებენ ალექსანდრე დოლიკაშვილის მეზობლები ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერებით.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, ქ. თბილისის პოლიციის VII განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის მიერ შედგენილი ბინაზე შემოწმების ოქმით დასტურდება, რომ მოქალაქე ალექსანდრე დოლიკაშვილი ნამდვილად ცხოვრობს, ქ.თბილისი, გრ.

ლორთქიფანიძის №22, I სართულზე არსებულ საცხოვრებელი ფართში, თუმცა უცნობია თუ რა პერიოდის განმავლობაში სარგებლობს იგი ზემოაღნიშნული ფართით.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ ქ. თბილისში კაიროს №22-ში (ახლანდელი ლორთქიფანიძის ქ. №22) მდებარე საცხოვრებელი შენობა ირიცხებოდა „საქტრანსმშენის" ბალანსზე და 1993 წელს შეასახლეს მათი მუშები, მათ შორის ალექსანდრე დოლიკაშვილიც.

ქალბატონმა თამარმა ასევე განმარტა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებულ მასალებს შორისაა, მოქალაქე ალექსანდრე დოლიკაშვილის კომუნალური მომსახურების სააბონენტოს ქვითრები

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ალექსანდრე დოლიკაშვილის სახელზე, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით უნდა მიეთითოს მთავრობის № 19.965.1238 განკარგულების სათაური და ასევე, აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად". შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**17.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N23-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.19.24.004.056) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N23-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების - ნანი ჯიხვაშვილისთვის - ფართი 56.89 კვ.მ, თამარა კვიციანისთვის - ფართი 37.14 კვ.მ და 2.85 კვ.მ ასევე გოდერძი მახარაშვილისთვის - ფართი 83.51 კვ.მ და 2.30 კვ.მ, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად პრივატიზებით საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებლის თქმით, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები აღნიშნულ ფართებში ცხოვრობენ 2008 წლიდან, რასაც ადასტურებენ ზემოხსენებული პირების მეზობლები ნოტარიულად დამოწმებული აქტებით.

ქალბატონი თამარის თქმით, საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ მასალებს შორისაა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა მთავრობის მიმართ, სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩა N23-ის მიმდებარედ მცხოვრები არადევნილის სტატუსის მქონე 3 ოჯახისთვის, მათ სარგებლობაში არსებული იზოლირებული საცხოვრებელი ფართების, ერთ ლარად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. ამასთან, წარმოდგენილია ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის VII განყოფილების უბნის ინსპექტორ გამომძიებლის მიერ შედგენილი და ასევე, გამგეობის თანამშრომლის მიერ შედგენილი, **ნანი ჯიხვაშვილის, თამარა კვიციანის და გოდერძი მახარაშვილის** ზემოხსენებულ მისამართზე ცხოვრების ფაქტის დამადასტურებელი შემოწმების აქტები

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**18.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, თენგიზ სტურუას ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: **N01.19.27.002.030**) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მთავრობის **N19.954.1258** განკარგულებით განსაზღვრული პირებისთვის (8 (რვა) პირი), ქალაქ თბილისში, თენგიზ სტურუას ქუჩა N29-ში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად პრივატიზებით საკუთრებაში გადაცემას, კერძოდ:

- თინა კირვალიძე - 32.22 კვ.მ;
- ნინო ჯავახიშვილი - 59.90 კვ.მ;
- რუსუდან სიქტურიშვილი - 32.99 კვ.მ;
- ნორა მაღლარაშვილი -.74.16 კვ.მ;
- სოფიკო ზაღაშვილი - 70.28 კვ.მ;
- ანგელინა მოსიაშვილი - 84.51 კვ.მ;
- ელისო გველებიანი-პ/ნ - 57.11 კვ.მ;
- ლია ჟორჟოლიანი - 50.01 კვ.მ.

თამარ ურუშაძის განცხადებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილია სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, სტურუას ქუჩაზე, N93 ბაგა-ბაღის შენობაში მცხოვრები არადევნილის სტატუსის მქონე 8 ოჯახისთვის, მათ სარგებლობაში არსებული იზოლირებული საცხოვრებელი ფართების, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

მომხსენებლის თქმით, ქონების გადაცემით დაინტერესებული არადევნილის სტატუსის მქონე ოჯახები, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, N93 ბაგა-ბაღის შენობაში ცხოვრობენ ათ წელზე მეტია, რასაც ადასტურებს, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის IV განყოფილება. ამასთან, აღნიშნული პირების დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონებით სარგებლობისა და ცხოვრების ფაქტებს ასევე ადასტურებენ მათი მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებითა და სამგორის რაიონის გამგეობის თანამშრომლის მიერ შედგენილი ცხოვრების ფაქტის დამადასტურებელი შემოწმების აქტებით.

დასასრულს, ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, აღნიშნული პირებზე და მათი ოჯახის წევრების სახელზე, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის. ასევე, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირების ნაწილი, წარმოადგენენ სოციალურად დაუცველ პირებს და რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ასევე, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მთავრობის N19.954.1258 განკარგულების სათაური მიეთითოს სწორი ფორმით და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.040.004) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N2-ში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად პრივატიზებით საკუთრებაში გადაცემას შემდეგი მოქალაქეებისთვის: მადლენა სანიკიძე (39.95 კვ.მ), მირანდა წიკლაური

(28.74 კვ.მ), ირინა სანიკიძე (43.12 კვ.მ), ნაირა ბერიძე (25.87 კვ.მ), ლეილა თავამაიშვილი (66.17 კვ.მ), ეთერი წიკლაური (32 კვ.მ), ამირან გობეჯიშვილი (37.46 კვ.მ), ხვიჩა ქამხაძე (115.38 კვ.მ), ანა დვალიშვილი (30.52 კვ.მ), ლეილა კაციაშვილი (11.54 კვ.მ), ლუარა ხორავა (16.21 კვმ და 12.99 კვ.მ), ელენა ქაცანაშვილი (8.59 კვ.მ), მაია ლუკავა (41.94 კვ.მ), ლალი მიდელაური (10.38 კვ.მ).

მომხსენებლის თქმით, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები, მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობენ ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა N2-ში, რასაც ადასტურებს, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის IX განყოფილება.

როგორც ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირთა ნაწილი სოციალურად დაუცველია. მისივე თქმით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის IX განყოფილების შემოწმების აქტებითა და მოწმეთა სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული პირები ცოტნე დადიანის ქუჩა N2 ში ცხოვრობენ 1994 2010 წლებიდან.

დასასრულს, თამარ ურუშაძემ განმარტა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია ქ თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ქ. თბილისი ცოტნე დადიანის ქუჩა N2 ში მცხოვრები ოჯახებისთვის, მათ მიერ ფაქტობრივ მფლობელობით დაკავებული საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ასევე, პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით მიეთითოს მთავრობის 2019 წლის 11 სექტემბრის N19.963.1239 განკარგულების სათაური და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N36-ში (ნაკვეთი 64/029) (საკადასტრო კოდები: N01.17.09.064.029.01.040, N01.17.09.064.029.01.046) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე დალი რეზესიძის და მოქალაქე მაკა დანელიასთვის, ქალაქ თბილისში, კახეთის

გზატკეცილი N36-ში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად პრივატიზებით საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებლის თქმით, მაკა დანელიას 2001 წლიდან ფაქტობრივად დაკავებული აქვს და საკუთრებაში გადაეცემა **35.60** კვ.მ საცხოვრებელი ფართი, ხოლო დალი რეზესიძეს 1998 წლიდან ფაქტობრივად დაკავებული აქვს და საკუთრებაში გადაეცემა - **22.70** კვ.მ საცხოვრებელი ფართი. ქალბატონი თამარის თქმით, აღნიშნულს ადასტურებენ დაინტერესებული პირების მეზობლები ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით. მისივე თქმით, მაკა დანელიასა და დალი რეზესიძის ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრების ფაქტს ასევე ადასტურებს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს, ისნის რაიონის განყოფილებაში მიმართული წერილით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ასევე, პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით მიეთითოს მთავრობის **N19.1014.1298** განკარგულების სათაური და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**21.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: **N01.12.12.040.004.01.539**) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე ტარიელ ბუჩუკურისთვის, ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N2-ში მდებარე 11.82 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად პრივატიზებით საკუთრებაში გადაცემას.

საკითხის წარმომდგენის თქმით, მოქალაქე ტარიელ ბუჩუკური არის მარტოხელა პენსიონერი და აღრიცხულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. აღნიშნული პიროვნება დაინტერესებაში არსებულ მისამართზე ცხოვრობს 2010 წლიდან, რაც დასტურდება, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის IX განყოფილების შემოწმების აქტებითა და მოწმეთა სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებით.

დასასრულს, თამარ ურუშაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია ჩაღალადევის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობები, ქ. თბილისში ცოტნე დადიანის ქუჩა N2-ში მცხოვრები ოჯახების, მათ შორის მოქალაქე ტარიელ ბუჩუკურისთვის, მათ მიერ ფაქტობრივი მფლობელობით დაკავებული საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით უნდა მიეთითოს მთავრობის 2019 წლის 25 სექტემბრის **N19.1016.1294** განკარგულების სათაური, ასევე უნდა მიეთითოს, რომ უძრავი ქონების პრივატიზება ხდება სიმბოლურ ფასად და ტექნიკურად გამართული ფორმით ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**22.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, #102 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული **21229** კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების: #1, #2 და #3 (მიწისქვეშა ნაგებობა) (ს/კ: #01.14.16.008.031) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის (ს/ნ: 201990079), ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ -ში მდებარე, **21229** კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, მთავრობის N19.1040.1337 დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

**საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საქართველოს არაერთ ქალაქსა თუ სოფელში ახორციელებს თანამედროვე სტანდარტების მოედნების და ინფრასტრუქტურის მოწყობას. სწორედ აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში ითხოვს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის გადაცემას. ამასთან, ფედერაცია იღებს ვალდებულებას, 2021 წლის ბოლომდე მოაწყოს ერთი ხელოვნურ-საფარიანი სტანდარტული და ერთი მინი საფეხბურთო მოედანი, განათება, გასახდელი, ტრიბუნა და უზრუნველყოს მისი მუდმივი ფუნქციონირება. ამავე დროს, აცხადებს, რომ მოედნით უსასყიდლოდ ისარგებლებენ ბავშვთა საფეხბურთო სკოლები, ჩატარდება რეგიონალური კლუბების თამაშები, ივარჯიშებენ და თამაშებს გამართავენ საქართველოს ასაკობრივი ნაკრებები.

დასასრულს, თამარ ურუშაძემ განმარტა, რომ იმის გათვალისწინებით რომ დედაქალაქში სპორტული ობიექტების განვითარება განიხილება ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა - გიორგი ჩაკვეტაძემ, ისაუბრა წარმოდგენილი პროექტის მნიშვნელობაზე. მისივე განმარტებით, აღნიშნული პროექტი ხორციელდება გრანტის ფარგლებში და გადაწყვეტილია მსგავსი საფეხბურთო მოედნების თბილისის სხვადასხვა ადგილმდებარეობაზე განთავსება, მათ შორის, გლდანსა და ვარკეთილში. აღნიშნული პროექტის მნიშვნელობაზე საუბრისას, ბატონმა გიორგიმ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საფეხბურთო მოედნებით უსასყიდლოდ ისარგებლებენ ადგილობრივი კლუბები.

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში, სწორი ფორმით მიეთითოს მთავრობის **N19.1040.1337** განკარგულების სათაური. ასევე, მოხდეს საპრივატიზებო საფასურის „**სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად**" მითითება და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - **თამარ ურუშაძემ**, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუს N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.037.01.1500.611) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე ანა ზენაიშვილისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 20.79 კვ.მ უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებით საკუთრებაში გადაცემას.**

მომხსენებლის თქმით, ანა ზენაიშვილი, დაახლოებით ოცი წელია ოჯახთან ერთად ცხოვრობს, ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუს N4, სართული 6, ბინა N611, 20.79 კვ.მ ფართში, რაც დასტურდება ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს I განყოფილებისა და ასევე, ვაკის რაიონის გამგეობის, ვაკე-ბაგების საუბნო განყოფილების მიერ.

თამარ ურუშაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილია ვაკის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუს N4-ში მდებარე უძრავი ქონების, მოქალაქე ანა ზენაიშვილისთვის, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „დიოსკურია"-ს ნოტარიულად დამოწმებული კრების ოქმით დასტურდება, რომ ზემოხსენებული პირი, ნამდვილად ცხოვრობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

დასასრულს, ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, მოქალაქე ანა ზენაიშვილის სახელზე, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის აზრით, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით უნდა მიეთითოს მთავრობის N19.1015.1299 განკარგულების სათაური. ასევე, სწორი ფორმით უნდა მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, გელა ჭედიას ქუჩა N1ვ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.04.023.021.01.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გელა ჭედიას ქუჩა N1ვ, სართული 1, ბინა N11 მისამართზე მდებარე უძრავი ქონების მოქალაქე ნათელა ქოჩორაშვილისთვის, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად, საკუთრებაში გადაცემას.

თამარ ურუშაძის თქმით, ნათელა ქოჩორაშვილის ოჯახი გახლავთ სოციალურად დაუცველი. ოჯახს, ფაქტობრივად დაკავებული აქვს და საკუთრებაში გადაეცემა 30.98 კვ.მ საცხოვრებელი ფართი. მისივე თქმით, ნათელა ქოჩორაშვილის მიერ ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრების ფაქტს ადასტურებს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველო, გლდანის რაიონის გამგეობისადმი მიმართული წერილით.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „ერთსულოვნება“ კრების ოქმის მიხედვით და ასევე, გლდანის გამგეობის თანამშრომლის მიერ შედგენილი ცხოვრების ფაქტის შემოწმების აქტის მიხედვით, ნათელა ქოჩორაშვილი და მისი ოჯახის წევრები მითითებულ მისამართზე 1995 წლიდან ცხოვრობენ.

დასასრულს, ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, მოქალაქე ნათელა ქოჩორაშვილისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტის პირველ მუხლში უნდა მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - „სიმბოლური ფასი - 1 (ერთი) ლარი“. ასევე, განკარგულების პროექტის პირველ მუხლში სწორი ფორმით უნდა მიეთითოს მთავრობის №19.1017.1293 განკარგულების სათაური, შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველი მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**25.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ენგურჰესის ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდები: N01.19.23.013.010.01.503, N01.19.23.013.010.01.502) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ენგურჰესის ქუჩა N3-ში არსებული უძრავი ქონების, მთავრობის N19.1013.1300 განკარგულებით განსაზღვრული 2 (ორი) პირისათვის, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად, საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებლის თქმით, არადევნილის სტატუსის მქონე პირები, მაია ახობაძე და მალა ქარჩავა, 2000-2003 წლებიდან ცხოვრობენ მათ დაინტერესებაში არსებულ 74.47 კვ.მ და 64,47 კვ.მ ფართებში, რაც დასტურდება მაია ახობაძისა და მალა ქარჩავას მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

თამარ ურუშაძის თქმით, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირებისა და მათი ოჯახის წევრების ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრების ფაქტი დასტურდება ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის VII განყოფილების მიერ. ასევე, სამგორის რაიონის გამგეობის თანამშრომლის შემოწმების აქტების თანახმად,

ზემოაღნიშნული პირები ნამდვილად ცხოვრობენ მისამართზე: ქალაქ თბილისი, ენგურჰესის ქუჩა N3-ში.

როგორც საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილია, სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ქალაქ თბილისში, ენგურჰესის ქუჩა N3-ში მცხოვრები, არადევნილის სტატუსის მქონე 2 ოჯახისთვის, მათ სარგებლობაში არსებული იზოლირებული საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

**ქალბატონი თამარის თქმით,** მაია ახობაძის ოჯახი რეგისტრირებული არის სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში. მისივე თქმით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირებისა და მათი ოჯახის წევრების სახელზე, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სათაური გამართული იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. ასევე, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით მიეთითოს მთავრობის N19.1013.1300 განკარგულების ნომერი და სათაური და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**26.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - **თამარ ურუშაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, მუხიანის სამხედრო დასახლებაში, "ავჭალა-1", სახლი N27-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.17.004.007.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე ასლი გარიბოვასთვის, ქალაქ თბილისში, მუხიანის სამხედრო დასახლებაში, მდებარე 67.18 კვ.მ. უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად, პრივატიზებით საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებლის თქმით, სსიპ-ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის შუამდგომლობა, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების ასლი გარიბოვასთვის სიმბოლურ ფასად გადაცემასთან დაკავშირებით.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, მოქალაქე ასლი გარიბოვა და მისი ოჯახი, დაახლოებით 35 წელია ცხოვრობენ დაინტერესებაში არსებულ მისამართზე, რასაც ადასტურებს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველო, მოქალაქეებთან გასაუბრების ოქმებით.

ქალბატონმა თამარმა იქვე დასძინა, რომ გლდანის რაიონის გამგეობის მუხიანის საუბნო განყოფილების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 1992 წელს 18 კვ. მ. ფართზე გაცემულია ორდერი, შემდეგ განხორციელდა მიშენება და დღეის მდგომარეობით აღნიშნული ოჯახი ცხოვრობს დაახლოებით 76 კვ.მ. ფართში, რომელიც დგას დაახლოებით 800 კვ მ. ეზოში. ასევე წარმოდგენილია ასლი გარიბოვას მიერ კომუნალური მომსახურეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები.

დასასრულს, ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, მოქალაქე ასლი გარიბოვასა და მისი ოჯახის წევრების სახელზე, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით მიეთითოს მთავრობის **№19.965.1238** განკარგულების სათაური და ასევე, აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად" შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**27.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89-ში (საკადასტრო კოდი: **N01.19.24.008.002.01.524**) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, არადევნილის სტატუსის მქონე პირებისთვის, ვალერი სკიდანოვისა და ვალენტინა ონანაშვილისათვის, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89, სართული 2, 39.69 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად პრივატიზებით თანასაკუთრებაში გადაცემას.

**მომხსენებლის** განმარტებით, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 1971-1991 წლიდან, რაც დასტურდება, ვალენტინა ონანაშვილისა და ვალერი სკიდანოვის მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

**მომხსენებლის** თქმით, საკითხთან დაკავშირებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილია სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილი N89-ში მცხოვრები არადევნილის სტატუსის მქონე პირებისთვის, ვალერი სკიდანოვისა და და ვალენტინა ონანაშვილსთვის მათ სარგებლობაში არსებული იზოლირებული საცხოვრებელი ფართის, რომელიც რეგისტრირებულია თვითმმართველობის საკუთრებად, თანასაკუთრებაში პრივატიზების ფორმით, ერთ ლარად გადაცემის თაობაზე.

**საკითხის წარმომდგენმა** იქვე დასძინა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს გასაუბრების ოქმებისა და ასევე სამგორის რაიონის გამგეობის თანამშრომლის მიერ შედგენილი შემოწმების აქტების საფუძველზე დგინდება რომ მოქალაქე ვალენტინა ონანაშვილი და ვალერი სკიდანოვი აღნიშნულ საცხოვრებელ ფართში ცხოვრობენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

**აზრი გამოთქვა:**

**კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს საპრივატიზებო საფასური **„სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“** და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**28.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N67-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.001.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, არადევნილის სტატუსის მქონე პირისთვის - აკაკი ქუთათელაძისთვის, ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა № 67, სართული 1, ბინა № 3, 56.15 კვ. მ. უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად პრივატიზებით საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებლის თქმით, საკითხთან დაკავშირებით, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია, გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების, აკაკი ქუთათელაძისთვის, პირდაპირი მიყიდვის წესით სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაცემასთან დაკავშირებით.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ მოქალაქე აკაკი ქუთათელაძე და მისი ოჯახი, 2008 წლიდან ცხოვრობს დაინტერესებაში არსებულ მისამართზე, რაც დასტურდება, ამხანაგობა „დიოსკურიას" ნოტარიულად დამოწმებული აქტით. მოქალაქის აღნიშნულ მისამართზე ხანგრძლივი პერიოდით ცხოვრების ფაქტს ასევე ადასტურებს, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველო, მოქალაქეებთან გასაუბრების ოქმებით.

დასასრულს, ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, აკაკი ქუთათელაძისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე თანასაკუთრების უფლება რეგისტრირებულია უძრავ ნივთზე, რომელიც მდებარეობს ხიზში, სოფელ ივანდიდში.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით მიეთითოს მთავრობის № 19.965.1238 განკარგულების სათაური და ასევე, აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად" შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრმა - ელენე ოზაშვილმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ღოღობერიძის ქუჩა N47-ში (ნაკვეთი 34/020) (საკადასტრო კოდი: N01.18.13.034.020.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე ეკა გვიჩიანისთვის, ქ. თბილისში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების, მდებარე: ღოღობერიძის ქუჩა N47-ში, მე-2 სართული, ბინა N16, 31.11 კვ.მ. პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად პრივატიზებით საკუთრებაში გადაცემას.

**მომხსენებლის განმარტებით,** ეკა გვიჩიანი, დასთან - ესმა გვიჩიანთან ერთად, დაინტერესებაში არსებულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 18(თვრამეტი) წელია. ეკა გვიჩიანის ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრების ფაქტი დასტურდება, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის IX განყოფილების მიერ, კრწანისის რაიონის გამგეობაში წარდგენილი ბინაზე გამოცხადების ოქმით. წარდგენილ მასალებს შორისაა, სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება, სადაც, მოქალაქეები: თეა ივეჩიანი, ბიძინა გირგვლიანი და გიორგი ფარჯიანი ადასტურებენ მოქალაქე ეკა გვიჩიანის ზემოაღნიშნულ მისამართზე 18 წლიანი ცხოვრების ფაქტს.

დასასრულს, ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, მოქალაქეების, ეკა გვიჩიანისა და ესმა გვიჩიანის სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის. თუმცა ესმა გვიჩიანის სახელზე, თანასაკუთრების უფლება რეგისტრირებულია უძრავ ნივთზე მდებარე: მესტიის რაიონი, სოფელი ლატალი, დაუზუსტებელი ფართობი: 2500.00 კვ.მ.

აზრი გამოთქვა:

**ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს მთავრობის N19.1052.1322 განკარგულების სათაურისა და ეკა გვიჩიანის პირადი ნომრის მითითების ნაწილში დაშვებული შეცდომები. ამასთან, განკარგულების პროექტის აღნიშნულ პუნქტში **განისაზღვროს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - 1 (ერთი) ლარის ოდენობით** და შესაბამისად, პროექტის პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**30.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - **თამარ ურუშაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი **"ქალაქ თბილისში, III მასივის VIII კვარტალის კორპუს N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.025.007.01.038)** მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, III მასივის VIII კვარტალის კორპუს N12-ში მდებარე **32.42** კვ.მ უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემას, არადევნილის სტატუსის მქონე პირისთვის - **ნაზიკ მურადიანისთვის,** რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

**მომხსენებლის** თქმით, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირი, **27 წლის განმავლობაში** ცხოვრობს ქალაქ თბილისში, III მასივი, VIII კვარტალი, მე-12 კორპუსი, ბინა №38-ში მეუღლესთან და შვილთან ერთად, რაც დასტურდება, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების მიერ.

როგორც **ქალბატონმა თამარმა აღნიშნა**, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილია სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების - მოქალაქე ნაზიკ მურადიანისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

**თამარ ურუშაძემ** იქვე დასძინა, **რომ** სამგორის რაიონის გამგეობის III მასივის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტითა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მარიამი"-ს ნოტარიულად დამოწმებული კრების ოქმით დასტურდება, რომ ნაზიკ მურადიანი ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე **1992 წლიდან დღემდე**.

დასასრულს, **საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ნაზიკ მურადიანსა და მის ოჯახის წევრებზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

**კომისიის თავმჯდომარის** თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი. კერძოდ, მითითება მთავრობის N19.1051.1324 განკარგულების შესახებ. ასევე, პროექტის პირველ პუნქტში სასურველია მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური **„სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად"** და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა**,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**31.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - **თამარ ურუშაძემ**, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N55-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.027) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N55-ში არსებული უძრავი ქონების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის **N19.1045.13232** განკარგულებით განსაზღვრულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებლის თქმით, მოქალაქეები: გოჩა გოგიჩაძე, დავით გოგოლაძე, კობა ჩანთაძე და გიორგი ჟამურელი არიან ყოფილი და მოქმედი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც, 2005-2009 წლებიდან ცხოვრობენ საინგილოს მე-5 ჩიხი, კორპუსი N2-ში. აღნიშნული მოქალაქეების დაინტერესებაში არსებულ მისამართზე ხანგრძლივი დროით ცხოვრების ფაქტი დასტურდება, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მიერ. ამასთან, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით ასევე დასტურდება, რომ წარმოდგენილი პირები ნამდვილად ცხოვრობენ მითითებული მისამართზე 2003-2007 წლებიდან დღემდე.

თამარ ურუშაძემ იქვე დასძინა, რომ სსიპ- ქონები მართვის სააგენტოში წარდგენილია, ისნის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, საინგილოს ქუჩა №55-ში არსებული უძრავი ქონების ზემოაღნიშნული მოქალაქეებისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებულ პირებზე და მათი ოჯახის წევრებზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ახუნდოვის ქუჩა №3/10-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.04.017.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვაინლაბისთვის" (ს/ნ:405213709) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „ვაინლაბისთვის" ქალაქ თბილისში, ახუნდოვის ქუჩა №3/10-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 5 წლით;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - 1450 (ათას ოთხას ორმოცდაათი) ლარი.

ქალბატონი თამარის თქმით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული იურიდიულ პირს სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს, ახუნდოვის ქუჩა №3/10-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის მიხედვით, ღია კაფის მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლადო ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**33.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - **თამარ ურუშაძემ**, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი **№34-38-ის** მიმდებარედ არსებული 1933 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.10.15.018.078) **73 კვ.მ მიწის ნაკვეთის** პირდაპირი განკარგვის წესით **იან დავიდოვისთვის** (პ/ნ: 01018002120) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **იან დავიდოვისთვის**, ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი **№34-38-ის** მიმდებარედ არსებული **1933 კვ.მ** მიწის ნაკვეთიდან, **73 კვ.მ** მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება **5 წლით;**
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - **10 550 (ათი ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარი.**

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, შესაძლებლად მიიჩნია ღია კაფეს მოწყობა, ქ.თბილისის საკრებულოს **№14-39** დადგენილებით დამტკიცებული მოთხოვნების გათვალისწინებით.

დასასრულს, ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, იან დავიდოვის საკუთრებაშია ვაჟა-ფშაველას გამზირი №36-ში მდებარე უძრავი ქონება.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა, აღნიშნა, რომ 73 კვ.მ ტერიტორია არის ძალიან დიდი ღია კაფეს მოსაწყობად. მისივე თქმით, სავალ ნაწილზე მოწყობილი კაფეების გამო, ზოგიერთ ქუჩაზე ქვეითების გადაადგილება შეუძლებელია.

ლევან ჟორჟოლიანმა უპასუხა ქალბატონ ლილეს და განმარტა, რომ ღია კაფეების განთავსება ქალაქის ტერიტორიაზე ხორციელდება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პოზიციის გათვალისწინებით. მისივე თქმით, თბილისის სხვადასხვა უბანში განლაგებული კაფეები და რესტორნები ღია სივრცეებით, ერთ-ერთი აქტუალური ბიზნესია დედაქალაქში. მერია ხელს უწყობს აღნიშნული ბიზნესის განვითარებას, რომელიც გარკვეული რეგულაციების ქვეშ არის მოქცეული.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შესაძლოა ახალ აღმაშენებელსა და რუსთაველის გამზირზე წინა პერიოდში იდგა აღნიშნული პრობლემა, რომელიც მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ მოგვარდა. თავმჯდომარემ იქვე დასძინა, რომ ვაჟა-ფშაველას გამზირზე აღნიშნული პრობლემა ნამდვილად არ დგას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**34.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩა N39-ის მიმდებარედ არსებული 141 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.020.025) 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ი.დ.-ისთვის“ (ს/ნ: 416342844) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „ი.დ.-ისთვის“ ქალაქ თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩა N39-ის მიმდებარედ არსებული 141 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან, 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის

უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ➢ იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 1 დეკემბრამდე;
- ➢ ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - 650 (ექვსას ორმოცდაათი) ლარი.

ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანია იჯარის უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა N 29-ში მდებარე 85.20 კვ.მ ფართს 2023 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის მიხედვით, ღია კაფის მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის აზრით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

35. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა N27-ის მიმდებარედ არსებული 742 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.005.027) 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მს ჯგუფისთვის" (ს/ნ: 405167947) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „მს ჯგუფისთვის" ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა N27-ის მიმდებარედ არსებული 742 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან, 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ➢ იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2029 წლის 31 მაისამდე ;
- ➢ ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - 3 600 (სამი ათას ექვსასი) ლარი.

ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნულ იურიდიული პირს იჯარის უფლებით გადაცემული აქვს ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა N29-ში მდებარე 165.8 კვ.მ ფართი, 2029 წლის 31 მაისამდე ვადით .

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ დადებითი შეფასება მისცა, ათონელის ქ. №27-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით განკარგვის საკითხს, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, გარკვეული რეკომენდაციის გათვალისწინებით, კერძოდ მაგიდები განთავსდეს მხოლოდ ერთ რიგად, შენობასთან.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა, გააპროტესტა ათონელის ქუჩაზე 30 კვ.მ ტერიტორიის გადაცემა ღია კაფეს მოსაწყობად და აღნიშნა, რომ 30 კვ.მ ტერიტორია ძალიან დიდია აღნიშნულ ადგილმდებარეობაზე ღია კაფეს მოსაწყობად. მისივე თქმით, აღნიშნულ ქუჩაზე გადაადგილება შეუძლებელია როგორც ქვეითებისთვის ასევე ავტომობილებისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ პროცედურების მიხედვით, ღია კაფეს მოსაწყობად, ბიზნესობიექტი მიმართავს ქონების მართვის სააგენტოს და ტერიტორიას იღებს იჯარით. მისივე თქმით, ღია კაფეს პროექტისა და იერსახის შეთანხმება არქიტექტურის სამსახურთან ხდება. ღია კაფეს მოწყობის მსურველმა ფოტომონტაჟი უნდა წარმოადგინოს, სადაც ნაჩვენები იქნება, რა ტიპის მაგიდა და სკამები იქნება ტერიტორიაზე განთავსებული. ასევე, მითითებული უნდა იყოს გასავლელი გზის შესახებ ინფორმაცია, თუკი ქალაქგემარებითი თვალსაზრით მიზანშეუწონლად ჩაითვლება კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე ღია კაფეს არსებობა, მიიღება გადაწყვეტილება მის დაუყონებლივ აღებასთან დაკავშირებით.

ბატონმა ლევანმა მიმართა კომისიის წევრებს და შემდგომში, კომისიის წევრების მხრიდან დაყენებული ამგვარი შენიშვნების დასაბუთება მათი მხრიდან წარმოდგენილი მასალების მეშვეობით მოითხოვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა განმარტა, რომ თუკი ჩაითვლება, რომ თბილისში არსებული სეზონური ღია კაფეები ამახინჯებენ ქალაქის იერსახეს ან ზღუდავენ ქვეითთა გადაადგილებას, დაინტერესებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მოხდება მაგიდებისა და სკამების აღება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

36. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ

თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 88 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.065.072) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩექინნ გრუპისთვის" (ს/ნ: 402113253) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **შპს „ჩექინნ გრუპისთვის"** ქალაქ თბილისში, **რიყის ტერიტორიაზე არსებული 88 კვ.მ მიწის ნაკვეთის** პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით**, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2029 წლის 22 თებერვლამდე;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება 12 700 (თორმეტი ათას შვიდასი) ლარი.

ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნულ იურიდიულ პირს სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონება, 2029 წლის 22 თებერვლამდე.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის მიხედვით, ღია კაფის მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 19 ივნისის წერილის მიხედვით, სამსახური არ არის წინააღმდეგი ქ. თბილისში, რიყის პარკის ტერიტორიაზე არსებული 88 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარით განკარგვასთან დაკავშირებით, ღია კაფის განთავსების მიზნით.

აზრი გამოთქვა:

**კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**37.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლების III$^{a}$ მიკრორაიონის კორპუსი N338-ის მიმდებარედ არსებული 518 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: **№01.19.39.012.055**) 72 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სს „მარტ ჯგუფისთვის" (ს/კ 406119579) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით; წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, სს „მარტ ჯგუფისთვის“ ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლების III[a] მიკრორაიონის კორპუსი N338-ის მიმდებარედ არსებული 518 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან, 72 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება **5** (ხუთი) **წლის ვადით.**
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება **5200** (ხუთი ათას ორასი) ლარი.

ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია საკუთრების უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, III[a] მ/რ, კორპუსი 338-ის მიმდებარედ არსებული უძრავ ქონებას.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია ღია კაფეს მოწყობა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **№14-39** დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ წევრმა - ელენე ოზაშვილმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**38.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - **თამარ ურუშაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი“ქალაქ თბილისში, აბანოს შესახვევი №7-ის მიმდებარედ არსებული **8** კვ.მ. მიწის ნაკვეთის **(ს/კ: №01.18.03.063.060)** პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დან დიურ ჰოლდინგისთვის“ (ს/ნ: 203855104) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „დან დიურ ჰოლდინგისთვის“ ქალაქ თბილისში, აბანოს შესახვევი № 7-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ. მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადად განისაზღვრება **5** (ხუთი) წელი;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება 2000 (ორი ათასი) ლარი.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში, წარდგენილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2019 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით დადებითი შეფასება მიეცა ქ. თბილისში, აბანოს შესახვევი №

7-ის მიმდებარედ 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით განკარგვის საკითხს, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანიის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, აბანოს შესახვევი № 7-ში მდებარე ფართები.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**39.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თეონა გაზდელიანისთვის (პ/ნ: 35031007233) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, თეონა გაზდელიანისთვის, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2 (ორი) წლით;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება 3000 (სამი ათასი) ლარი.

ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირი საკუთრების უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №51-ში არსებული 29.14 კვ.მ. ფართს.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის მიხედვით, ღია კაფის მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**40.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე

წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე **1244 კვ.მ** მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: **№ 01.12.21.001.526**) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქვიშის ფეხბურთის ფედერაციისთვის" (ს/კ: 406246753) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ა(ა)იპ-„თბილისის ქვიშის ფეხბურთის ფედერაციისთვის" ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 1244 კვ. მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემას, ქვიშის ფეხბურთის მოედნის ფუნქციონირების მიზნით.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, დადებითი პოზიცია გააჩნია როგორც ნაძალადევის რაიონის გამგეობას, ასევე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ იქნეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 122[1] მუხლის მე-9 პუნქტი ასევე, ამოღებულ იქნეს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-13 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**41.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ურუშაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ,,ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი II კვარტალის №9ა და №9ბ კორპუსებს შორის მდებარე 1171 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.022.003) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის და დაინტერესებულ კომპანიასთან შპს ,,არქიინვესტი" (ს/კ 404954046) გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის N421 განკარგულების დანართით განსაზღვრული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

საკითხის წარმომდგენის თქმით, შპს „არქიინვესტს“ 2017 წელს, გადაეცა ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე 1171კვ.მ მიწის ნაკვეთი კომპანიის საკუთრებაში არსებული: ქალაქ თბილისში, მაყაშვილის ქუჩაზე მდებარე 480კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

როგორც საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს და კომპანიას შორის, გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას დაეკისრა ვალდებულება განეხორციელებინა 480კვ.მ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და აღნიშნული ტერიტორიის მოსწორებულ, გასუფთავებულ მდგომარეობაში მოყვანა, შესაბამისი დემონტაჟის ნებართვის გაცემიდან ერთი თვის ვადაში.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ 2019 წელს ქონების მართვის სააგენტოსა და ქეთევან ასათიანს (პ/ნ:01017014656) შორის, გაფორმდა პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე, ქეთევან ასათიანის საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, მაყაშვილის ქუჩაზე მდებარე, 480კვ.მ მიწის ნაკვეთი.

როგორც ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, სსიპ- ქონების მართვის სააგენტოს განცხადებებით, მიმართა კომპანიის დირექტორმა და იქიდან გამომდინარე, რომ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები გასხვისდა კერძო პირზე, ხოლო კომპანიას დარჩა ვალდებულება მუნიციპალიტეტის მიმართ უძრავ ქონებაზე, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრებას აღარ წარმოადგენს, ამასთან კომპანია ვერ ახერხებს შესაბამისი დემონტაჟის ნებართვის მიღებას და ვალდებულების შესასრულებლად ასევე სჭირდება მესაკუთრის თანხმობაც, ითხოვა შემღებისდაგვარად პრობლემის მოგვარება, ისე რომ კომპანიას მიეცეს საშუალება შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება ან ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, ითხოვა საპრივატიზებო პირობის გაუქმება.

დასასრულს მომხსენებელმა განმარტა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვეტილების მისაღებად საკრებულოს წარუდგინა განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის N421 განკარგულების დანართით განსაზღვრული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის, „N01.15.02.038.049 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და აღნიშნული ტერიტორიის მოსწორებულ, გასუფთავებულ მდგომარეობაში მოყვანა, შესაბამისი დემონტაჟის ნებართვის გაცემიდან ერთი თვის ვადაში”, გაუქმებას.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ამასთან, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ $127^2$ მუხლის მე-3 პუნქტის ნაცვლად, მიეთითოს ამავე ორგანული კანონის $127^2$ მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრმა - ელენე ოზაშვილმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

42. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, „რიგი ობიექტებისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**ბატონი ლევანის განმარტებით**, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის **N59** დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დაუმთავრებელ მშენებლობად მიიჩნევა ობიექტი, რომელზეც მშენებლობის ნებართვა გაცემული იყო 2013 წლის 1 იანვრამდე და ამასთანავე, აღნიშნული ნებართვის საფუძველზე ნაწარმოებია სამშენებლო სამუშაოები, თუმცა ობიექტი არ არის დასრულებული. მისივე თქმით, **N59** დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 35-ე მუხლით დადგენილია დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

თავმჯდომარის განცხადებით, ტექნიკური რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების მიხედვით დაინტერესებულმა პირმა, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის დადგენილი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის უნდა მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შესაბამისი განცხადებით.

თუმცა „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლის პირველი, მე-3 პუნქტების, ასევე მე-11 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტისა და მე-12 პუნქტის საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება მაღალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით დაუმთავრებელ მშენებლობად მიიჩნიოს ობიექტი, რომელზეც მშენებლობის ნებართვა გაცემული არ იყო 2013 წლის 1 იანვრამდე, მაგრამ განაშენიანების რეგულირების გეგმა მიწის ნაკვეთებზე დამტკიცებულია.

საკითხის წარმომდგენის თქმით, მ/წლის 10 ოქტომბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განცხადებით მომართა შპს „მ2 ვაკეში"-ის დირექტორმა ირაკლი ბურდილაძემ და ვინაიდან მის მიერ განცხადებაში აღნიშნული - მირცხულავას ქუჩა №9-11, ნუცუბიძის ქუჩა №125ა და ჭყონდიდელის ქუჩა №22 მისამართებზე მდებარე სამშენებლო კომპანია სვეტის ობიექტები, რომლებსაც ასეულობით დაზარალებული ჰყავს, ვერ აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის **N59** დადგენილებით დამტკიცებული დებულების 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს, განმცხადებელმა მაღალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ითხოვა აღნიშნული ობიექტებისათვის დაუმთავრებელი მშენებლობების სტატუსის მინიჭება კანონმდებლობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

**ბატონმა ლევანმა** იქვე დასძინა, რომ განცხადებას დანართის სახით თან ახლავს, დასაბუთება დაუმთავრებელი მშენებლობის მიზნებისთვის, მაღალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების არსებობის თაობაზე.

დასასრულს **კომისიის თავმჯდომარემ** აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეიმუშავა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თაობაზეც უნდა იმსჯელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ საკრებულოს სხდომაზე. ამასთან, თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია წარმოდგენილ განკარგულების პროექტში ტექნიკურად დაზუსტდეს რიგი ობიექტების საკადასტრო კოდები. კერძოდ, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში დაემატოს შემდეგი საკადასტრო კოდები: N01.12.12.024.219; N01.12.12.024.224; N 01.12.12.024.222; N01.12.12.024.223; N01.12.12.024.220; N01.12.12.024.221.

კომისიის წევრები დაეთანხმნენ მომხსენებლის აღნიშნულ წინადადებას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული წინადადების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი ნინო ჯალაღანია